ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს, 12 საათზე, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ოფისში (ნუცუბიძის ქუჩა №179ა) დაგეგმილი მაქვს შეხვედრაზე წავრდგე ამომრჩევლებთან ანგარიშით „2017 წლის 9 თვის მონაცემებით გაწეული მუშაობის შესახებ".

დანართი: 6 ფურცელი.

პატივისცემით,

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო
მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე

გოჩა ბაბუნაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 7 ფურცელი

№ 10/9687 03.10.175

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (ვაკის რაიონის
დელისის ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი) გოჩა ბაბუნაშვილის
2017 წლის 9 თვის გაწეული მუშაობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 განკარგულებით ცნობილ იქნა, ჩემი გოჩა ბაბუნაშვილის საკრებულოს წევრის (ვაკის რაიონის დელისის ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი) უფლებამოსულება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით შექმნილ იქნა ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია, 21 ივლისის №3-11 დადგენილებით დამტკიცდა კომისიის დებულება, 21 ივლისის №4 განკარგულებით დამტკიცდა პერსონალური შემადგენლობა (გოჩა ბაბუნაშვილი, გიორგი ტყემალაძე, ნუგზარ მალაღურაძე, დავით ჭელიძე, თევდორე კობახიძე, დავით ზურაბიშვილი, დავით უთმელიძე, ილია ჯიშკარიანი, ალექსანდრე ელისაშვილი, თეიმურაზ გრიგალაშვილი, მამუკა ახვლედიანი, შალვა ოგბაიძე), №15 განკარგულებით არჩეული ვიქენი კომისიის თავმჯდომარედ.

განვლილ პერიოდში სადეპუტატო უფლებამოსილებას ვახორციელებდი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ“ საქართველოს კანონის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული საკრებულოს რეგლამენტის, კომისიის დებულების, „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში კომისიას ჩატარებული აქვს 15 სხდომა, განხილული გვაქვს დღის წესრიგით გათვალისწინებული 583 საკითხი, მათ შორის დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების 322 წინადადება და განაშენიანების რეგულირების გეგმის და გეგმარებითი დავალების 118 პროექტი. არჩეული ვარ საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრად და საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მაქვს მიღებული 8 სხდომაში, განხილული გვაქვს 52 საკითხი. გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ და ვმონაწილეობ მის მუშაობაში. ვარ ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საბჭოს“ წევრი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების კომისიის წევრი, ვიყავი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შპს შეკუმშულ ბუნებრივ აირზე მომუშავე დაბალიატაკიანი საქალაქო ავტობუსების შემენასთან დაკავშირებულ განაცხადთა შერჩევისა და გამარჯვებულის გამოვლენის კომისიის წევრი.

განხილულ ყველა საკითხზე მიღებული იქნა შესაბამისი აქტები, დადგენილებებისა და განკარგულებების სახით. მათ შორის სხდომებზე განხილული იქნა „საქართველოს

დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მიღება განპირობებული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოსახლეობიდან შემოსული წერილების, განცხადებების, ცხელ ხაზზე დაფიქსირებული ზარების, საკრებულოს დეპუტატების ამომრჩეველებთან შეხვედრებისას გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით, რომლებითაც მოსახლეობა ითხოვდა მოქმედ ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტებში ცვლილებების შეტანას. ცვლილებების განხორციელებამ ხელი შეუწყო მგზავრთა გადაყვანის დროის შემცირებას და გააუმჯობესა მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობის ხარისხი.

კომისის აქტიური მხარდაჭერით ჩამოყვანილი იქნა, ახალი ევროპული სტანდარტების მქონე MAN-ის მარკის ავტობუსები, ეს არის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი. პროექტის ფარგლებში, თბილისში ჩამოვიყვანეთ 143 ერთეული 12 მეტრის სიგრძის MAN-ის მარკის ბოლო მოდელის ავტობუსი, ეს ავტობუსები არის ძალიან კომფორტული, გარემოს დაცვის თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოიხმარს გაზს და არა ტრადიციულ საწვავს. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედება ძალიან მინიმალურია. მოვაწყვეთ და 6 ha-ზეა განთავსებული ახალი ავტობაზის კომპლექსი. მშენებლობა 13 მლნ ლარის ფარგლებში დაჯდა.

ამასთან არსებობს მოთხოვნა შედარებით მცირეგაბარიტიანი ავტობუსების ჩანაცვლებაზეც, შემდეგ უკვე დაიწყება მეორე ეტაპი, რომლის ფარგლებშიც, უნდა ვიმუშაოთ მცირეგაბარიტიანი ავტობუსების ჩამოყვანაზე, რომლებიც იმოძრავებენ ქალაქის ვიწრო ქუჩებში.

დედაქალაში მუნიციპალური ავტობუსების რაოდენობა 700 ერთეულამდე უნდა გაიზარდოს, თბილისში 143 ახალი MAN-ის ავტობუსი მოძრაობს. იქ სადაც მანის ავტობუსია გაშვებული, სადაც ჩვეულებრივი 10 მეტრიანი ავტობუსები დადიოდა, მგზავრთა ნაკადი 30-40%-ით არის გაზრდილი. ეს არის კარგია იმ მხრივ, რომ ჩვენ მომსახურების მაღალი ხარისხი მივიღეთ. იქ გამოთავისუფლებული მარშუტები ისეთ მარშუტებს დავახმარეთ, როგორიც არის ზაჰესი, დიდი დიღომი, გლდანი. ვარკეთილი და სხვა დასახლებები. მთლიანობაში დედაქალაში მარშრუტებზე 525 ავტობუსია გაშვებული, რომელთა რიცხვი მალე 531-მდე გაიზრდება. ისინი ხელსაყრელია იმ ადამიანებისთვის, ვისაც სოციალური შეღავათები აქვს, ვისთვისაც მისაღებია 50 თეთრი, სტუდენტები 20 თეთრად მგზავრობენ. დღეის მდგომარეობით ეს საჭიროება არის.

დედაქალაქის მასშტაბით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა, ავარიული შენობების რეაბილიტაცია, გამაგრება-გაძლიერების პროცესი მიმდინარეობს, რაც შეეხება ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, დიდი წარმატებით დასრულდა პროექტ „ახალი ტფილისის" პირველი ეტაპი - აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაცია. პროექტის მეორე ეტაპის ფარგლებში, დაგეგმილია ორბელიანის მოედნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, გაგრძელდება გუდიაშვილის

მოედნისა და მისი მიმდებარე არეალის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები; დასრულდება ძველ თბილისში არსებული ისტორიული შენობების მიმდინარე სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები. მუზეუმების რეაბილიტაციის პროგრამით, რეაბილიტაცია უტარდება ჯავახიშვილის N 7 -ში მდებარე ილიას მუზეუმს. ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 3 სადარბაზოს სრული რესტავრაცია-რეაბილიტაცია ხორციელდება.

განახლებული აღმაშენებელის გამზირის რეაბილიტაციის პროექტი, „ევროპა ნოსტრას" 2017 წლის კონკურსში გამარჯვებულად დასახელდა. ფონდის ინფორმაციით, 2016 წელს დავით აღმაშენებლის გამზირზე განხორციელებულმა რეაბილიტაციამ, კულტურული მემკვიდრეობის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, ჟიურის განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა. პროექტი „ახალი ტფილისი" აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციით, „ევროპა ნოსტრას" ოფიციალურ ვებ გვერდზე სხვადასხვა ქვეყნების გამარჯვებულ საუკეთესო პროექტებს შორისაა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ქალაქისთვის კიდევ ერთი წინსვლა და საერთაშორისო აღიარებაა

მრავალსართულიანი ავტოსადგომების მშენებლობასთან დაკავშირებით, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა დასრულებულია, ქალაქის მასშტაბით, შერჩეულია ისეთი ადგილები, რომლებიც ძალიან დატვირთულია და პარკირებაზე მოთხოვნა მაღალია, მაგალითად, ცენტრალური რკინიგზის სადგური, მეტროს სადგური „მარჯანიშვილი", პუშკინის მოედანი, თბილისის საკონცერტო დარბაზი, მეტროს სადგური ისანი, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, გულიას მოედანი, მეტროს სადგური ვარკეთილი და სხვა ადგილები. ეს იქნება ჯამში 3000 ავტომანქანაზე გათვლილი ავტოსადგომები.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, არის მნიშვნელოვანი ფინანსური დოკმენტი, საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარების, ავარიული შენობების გამაგრების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელებისათვის, იგი ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, ადამიანების დასაქმებას, ამის გათვალისწინებით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ დედაქალაქის ბიუჯეტზე მუშაობას, მასზე დასკვნების მომზადებას.

2017 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. კონკრეტულ ღონისძიებებში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის იკითხება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რაც მიუთითებს საბიუჯეტო რესურსების ეფექტურად გამოყენების პერსპექტივაზე. იკითხება, რომ საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაზეა ორიენტირებული წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი.

2017 წლის ბიუჯეტის მთავარი პრიორიტეტებია ინფრასტრუქტურის განვითარება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება და გამწვანებითი ღონისძიებები. ქალაქში არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, პროგრამული ბიუჯეტი სწორედ ამ საჭიროებებზე იქნა მიმართული. ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ თითოეული თბილისელი გრძნობდეს, რომ მათი ცხოვრება გავხადოთ უკეთესი.

ბოლო მონაცემებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 820 636,9, ათასი ლარის ოდენობით, გადასახდელები 826298.1 ათასი ლარი და ნაშთის ცვლილება 5 661,9 ათასი ლარი.

დიდუბის რაიონში მდებარე სავაჭრო ცენტრში „ბავშვთა სამყარო“-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოვაჭრეებისთვის ფინანსური დახმარების გაცემის მიზნით იზრდება ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის (კოდი 10 22) მოცულობა 1 000,0 ათასი ლარით.

კომისიის მხარდაჭერით, თბილისში სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურული პროექტები კვლავაც გრძელდება. ამჟამად ასეთი მასშტაბური საქმე ნაძალადევის უბანში, ერთ-ერთ ყველაზე გრძელ 2,5 კილომეტრიან ჩარგლის ქუჩაზე კეთდება. იქ ახალი სანიაღვრე და წყალმომარაგების ქსელების მონტაჟი სრულდება, რის შემდგომ სავალ ნაწილსა და ტროტუარებს ასფალტის ახალი საფარი დაეგება, ასევე განახლდება ბორდიურები. ამ სამუშაოებზე 2,5 მილიონ ლარს დახარჯავს. სამუშაოები ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

დიდი სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა პეკინის ქუჩაზე გამოიცვალა მოძველებული წყალგაყვანილობა, გაზსადენები, სატელეფონო და ელექტროკაბელები, წყალარინების სისტემა, გზის სავალი ნაწილის ტროტუარების ასფალტი, ბორდიურები. მთლიანი გზის საფარის კაპიტალური განახლების სამუშაოები განხორციელდა დიდი დიღმის დასახლებაში.

ქალაქში ბაგა-ბაღების მშენებლობა წელსაც გრძელდებოდა. საბურთალოს, ჩუღურეთის, ნაძალადევისა და სამგორის რაიონებში ხუთი ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა.

კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა შუალედური ანგარიში დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებელი ჯგუფის მიერ გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს დედაქალაქის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების ჩამოყალიბებას, გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრას და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნას. ამ პროექტის განსახორციელებლად 2016-17 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 3 მილიონ 147 ათასი ლარი. გენგეგმაზე საერთაშორისო კონსორციუმი და დარგის 200-მდე სპეციალისტი მუშაობდა. გეგმა ისეთ ძირეულ პრინციპებს ითვალისწინებს, როგორიცაა: თბილისი-ჯანმრთელი, მწვანე, ტოლერანტული, საცხოვრებლად მოსახერხებელი, კომპაქტური, რესურსდამზოგავი, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული უნიკალურობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული, “ჭკვიანი ქალაქი”.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. წარმოდგენილი პროექტის მიღებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებას დაემატა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკა. დედაქალაქის ტერიტორია იყოფა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გადაწყვეტების შესაბამის ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონებად. ზოგად ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონებად დაყოფა აისახება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამის ზოგად უფლებრივი ზონირების რუკაში.

თბილისის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება არის მიწათსარგებლობის ზონირების ნაწილი, რომელიც ახდენს დედაქალაქის ტერიტორიების იდენტიფიცირებას ტერიტორიულ-სტრუქტურული ნიშნით (ქალაქის ცენტრალური ზონა, შუალედური ზონა, პერიფერიული ზონა, გეგმარებითი კარკასი). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიზანია მოხდეს ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების პირობების განსაზღვრა, დედაქალაქის ტერიტორიების განსხვავებული ღირებულების და ათვისების ხარისხის განსაზღვრა. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საცხოვრებელ სახლებზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გაზრდაზე შეზღუდვა დაწესდა.

უმოკლეს ვადაში თბილისის ისტორიაში პირველად ქალაქს ექნება სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სრულყოფილი დოკმენტი, რითაც მოგვეცემა სამშენებლო პროცესების მართვისა და მისი განხორციელების კონტროლის შესაძლებლობა.

გენერალური გეგმის ჯგუფმა შემოგვთავაზა საინტერესო იდეა, რომელიც მათი მხრიდან უკვე დამუშავებულია და გულისხმობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დიდი პარკის გაკეთებას თემქის ხევის ორივე მხარეს. ეს ტერიტორია მუნიციპალური საკუთრებაა, ამ არეალში დიდი რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობს.

2017 წლის 28 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №8-35 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილებები საკრებულოს №14-39.24.05.2016წ, დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების“ წესებში, რომლითაც გამკაცრდა სარეკრეაციო ზონების დაცვის რეჟიმი, მშენებლობისას გაიზარდა გამწვანებული ნაწილის კოეფიციენტი. წესები ითვალისწინებს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისთვის მინიმალური ტერიტორიის განსაზღვრას და იგი შეადგენს 5000 კვ.მ–ს. განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთებისათვის სხვაგვარად შეუძლებელია გამოყენებისა და განაშენიანების რეგლამენტების დადგენა. მინიმალური ფართობის განსაზღვრა, რომელზეც სავალდებულო იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება, წარმოადგენს ეფექტურ ბერკეტს სამშენებლო ტერიტორიების გეგმაზომიერი, მოწესრიგებული განვითარებისთვის.

კომისიას საქმიანი ურთიერთობები აკავშირებს კომპანია (GVP) „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“-თან. მოსმენილ იქნა ინფორმაციები დედაქალაქის მოსახლეობის სასმელი წყლით უწყვეტი მომარაგების საკითხებზე. შემუშავებული იქნა წყლის მიწოდება-გატარების პროცესში არსებული შეფერხებების აღმოფხვრის ღონისძიებები.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მოქალაქეთა და ორგანიზაცია-დაწესებულების განცხადება-წერილებზე მუშაობას.

კომისიაში და სამაჟორიტარო ბიუროს ოფისში შემოსულ წერილებს პირადად ვეცნობი, მოქალაქეებს ვაძლევ შესაბამის კონსულტაციებს და ვუწევ დახმარებას პრობლემების მოგვარების მიზნით, რომლებიც ძირითადად ეხება ავარიული შენობების გამაგრების, შიდაკვარტალური გზების, ეზოების, სკვერების, ბავშთა სპორტული მოედნების მოწყობის, ქალაქის სანიტარული დასუფთავების, მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, საბინაო, სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში სულ შემოსული და განხილული გვაქვს 452 წერილი/განცხადება: მათ შორის, საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით 348, უშუალოდ კომისიის თავმჯდომარის სახელზე შემოსულია 76 წერილი/განცხადება. მეორე შემსრულებლად კომისია წარმოდგენილი იყო 28 ერთეულ შემთხვევაში. მთლიანობაში შესრულებულია 445 წერილი/განცხადება, -98.4%, განხილვის პროცესშია 7 წერილი/განცხადება.

მოქალაქეებს ტრადიციულად ყოველ ოთხშაბათს ხვდები. სამაჟორიტარო ბიუროს ოფისში ჩავატარე 33 მიღება და შევხვდი 435-მდე მოქალაქეს. ერთჯერადი მატერიალური დახმარების, მედიკამენტების შეძენის, ქირურგიული ოპერაციების დაფინანსების, საბინაო ფართის დაკანონების, სწავლების დაფინანსების, საჯარიმო სანქციების მოხსნის, სანიაღვრე არხების მოწყობის და საყრდენი კედლების მშენებლობის, დასაქმების და სხვა საკითხებზე.

გოჩა ბაბუნაშვილი
03.10.2017 წელი.